პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 194 (9970) | სამშაბათი, 17 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

პრესის მუდმივი მოვალეობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილება საბჭოთა ხალხის დიდი სიმდიდრეა, ეროვნული კუთვნილებაა. უნარიანად მოწყობილი პროპაგანდა, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა კომუნისტურ პარტიას მიაჩნია ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გაკაჭრის დიდმნიშვნელოვან წინაპირობად.

ჩვენს დროში მეურნეობის გაძღოლა მოწინავე საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, ნოვატორთა მიღწევების გაუთვალისწინებლად იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგ გასწირო იგი ჩამორჩენისათვის. ნოვატორთა გამოცდილებით მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მრავალმილიონიანი მასების შეიარაღება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა ჩვენი პრესა. ვერავითარი უწყებრივი ბრძანებანი და მითითებანი, რა რიგ კარგიც უნდა იყოს ისინი, ზემოქმედების ძალით ვერ შეედრება გაზეთში, ჟურნალში, ბროშურაში მოწინავე გამოცდილების მკაფიო და გასაგებ გაშუქებას.

პრესაში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის დიდ შესაძლებლობას იძლევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის საუკეთესო მიღწევები. გამოფენის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებმაც ჰექტარზე მიიღეს 30 და მეტი ცენტნერი ხორბალი. ჰექტარზე 30-35 ცენტნერ ნედლ ბამბას იღებენ მთელი რაიონები. საბჭოთა მეურნეობა „კარავაევში“ შარშან თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 6.120 კილოგრამი რძე, ხოლო ძროხა „კომსომ“ მოიწველა 13,5 ათას კილოგრამზე მეტი რძე. სტავროპოლის მხარის ლევოკუმის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ბუდიონოვეცის“ კუთვნილი № 171 ცხვრის ნაპარსი შეადგენს 23,2 კილოგრამ მატყლს. ჩერნიგოვის ოლქის ჩერნიგოვის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი შლიახმა“ შარშან ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე მიიღო 54,7 ცენტნერი ღორის ხორცი. რამდენი სხვა შესანიშნავი მიღწევაა წარმოდგენილი გამოფენაზე!

მთელი რიგი რაიონების სოფლის მეურნეობას დიდ პერსპექტივებს უსახავს კოლმეურნეობის „ზავეტი ლენინა“ მეშინდვრის ამხ. მალცევის გამოცდილება. მან გამოიყენა ნიადაგისა და ნათესის დამუშავების ახალი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის პრაქტიკაში გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მძლავრი წყარო იქნება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ჩვენი გაზეთი დამაკმაყოფილებლად არ უწევს პროპაგანდას გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებას, იშვიათად ბეჭდავს მათს სტატიებს, ექსკურსანტთა ნაამბობს. სუსტად აშუქებენ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას, კერძოდ, რესპუბლიკური გაზეთები „სოვეტსკაია ლიტვა“ და „ტურკმენსკაია ისკრა“, აგრეთვე საოლქო გაზეთები „ტამბოვსკაია პრავდა“, „კიროვსკაია პრავდა“ და სმოლენსკის გაზეთი „რაბოჩი პუტ“.

პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და კორესპონდენციებს მოწინავე გამოცდილებისა და ნოვატორების შესახებ ხშირად ზერელე ხასიათი აქვს. მათში დასახელებულია გვარები, ჩამოთვლილია ციფრები, მაგრამ არაფერია ნათქვამი მთავარზე—იმაზე, თუ როგორ იქნა მიღწეული მაღალი შედეგები. მოწინავეთა მიღწევებზე საუბარი მხოლოდ მაშინ მოგვიტანს სარგებლობას, როცა მასში ნაჩვენებია ცოცხალი გამოცდილება, დასახულია წარმატების მიღწევის გზები. საჭიროა, რომ სტატიის წაკითხვის შემდეგ ადამიანმა მიიღოს ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ გამოიყენოს პრაქტიკულად ნოვატორთა გამოცდილება.

პრესა მოვალეა არა მარტო პროპაგანდა გაუწიოს შრომის მოწინავე მეთოდებს, არამედ აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი მთელი საშუალებებით იბრძოლოს პრაქტიკაში, წარმოებაში მათი ყველგან დანერგვისათვის. ეს უნდა გაკეთდეს ახლა, დღეს. ამ დღეებში გაზეთების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ისეთი საარსებო საკითხები, როგორიც არის მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მოწყობა, მზრალად ხვნა, საშემოდგომო კულტურების თესვა, საკვების დამზადება. უნდა მივაწიოთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება გახდეს ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილება. მწვავედ უნდა გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც ხელს უშლის მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის ფართოდ დანერგვას წარმოებაში.

პასუხსაგები ამოცანებია დასახული პრესის წინაშე სოციალისტური მრეწველობის მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდის დარგში. ძვირფასი გამოცდილება, რომელიც საუკეთესო საწარმოებმა შეიძინეს წარმოების ორგანიზაციაში, შესაძლებლობას აძლევს ჩვენს მრეწველობას მკვეთრად გაადიდოს პროდუქციის გამოშვება არსებული მოწყობილობითა და არსებულ ფართობებზე, მნიშვნელოვნად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საჭიროებაზე პრესაში ბევრია ნათქვამი, მაგრამ ხშირად ზოგადი ფორმით, ისე, რომ სერიოზულად არ არის შესწავლილი ეკონომიკის საკითხები. საჭიროა ჟურნალ-გაზეთებში ვუჩვენოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების კონკრეტული გზები. პროპაგანდას გაუწევს რა ნოვატორთა მიღწევებს, პრესამ ხელი უნდა შეუწყოს ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებას, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, შრომის უკეთეს ორგანიზაციას, წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას.

პრესის ფურცლებზე ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების შემოქმედებითს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ლითონის ჩქაროსნული ჭრის შემდგომი გაუმჯობესება, შახტებში ციკლურობის გრაფიკით მუშაობის, ლითონის ჩქაროსნული დნობის ხერხების და მრავალი სხვა პროგრესული თაოსნობის ორგანიზაცია, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის გამოშვების ზრდას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

პრესაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ გაშუქებისათვის რედაქციები მოვალენი არინ ჩაიბან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თვით ნოვატორები, მოწინავე ადამიანები, ამ გამოცდილების შემქმნელნი.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გავრცელება უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაჩაღებასთან. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, თავიდან ავიცილოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, ვამხილოთ ბიუროკრატები, ჩინოვნიკები, რომლებიც ხელს უშლიან ნოვატორებს.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა პრესის ხანმოკლე კამპანია კი არ არის, არამედ მუდმივი მოვალეობაა. გაზეთები და ჟურნალები მოწოდებული არიან ამაზე იმუშაონ საქმის ცოდნით, ენერგიულად, ყოველდღე.

„პრავდის“ 16/VIII მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინელი მწერლის პ. ს. კოზლანიუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, უკრაინელი მწერალი პეტრე სტეფანეს-ძე **კოზლანიუკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1954 წ. 14 აგვისტო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ ჩვენს ქვეყანაში წინათ გამოუყენებელი მრავალი მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების დამუშავებით მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ მხურვალე გამოხმაურება და საყოველთაო-სახალხო მოწონება ჰპოვა. მოკლე ვადაში პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებმა დიდი მუშაობა განახორციელეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, ტექნიკით, მოწყობილობით, სათადარიგო ნაწილებით, თესლითა და სხვა საჭირო მასალებით ახალი მიწების ათვისების რაიონების მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფისათვის. ყამირ და ნასვენ მიწებზე შექმნილია ახალი 124 დიდი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. მრეწველობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების 150 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი ნებაყოფლობით გაემგზავრა და აქტიურად ჩაება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების სამუშაოში.

1954 წლის გაზაფხულზე ახლად ათვისებულ მიწებზე დაითესა ხორბალი და სხვა კულტურები 3.6 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა 2.3 მილიონ ჰექტარს. ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 156 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებში — 176 პროცენტით.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე მიმდინარე წელს დასავლეთ ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში მნიშვნელოვნად გადიდდება პურეულის საერთო მოსავალი ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების დათესვით. მიმდინარე წლის 10 აგვისტოსათვის მოხნულია 13.4 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, რაც შეადგენს დაწესებული გეგმის 103.2 პროცენტს. ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის საგეგმო დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ომსკის, აკმოლინსკის, ნოვოსიბირსკის, ჩკალოვის, კურგანის, პავლოდარის, ტიუმენის, კოქჩეტავის, ყარაგანდის, ჩელიაბინსკის, ჩიტის, აქტიუბინსკის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, ირკუტსკისა და სარატოვის ოლქების, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა, აგრეთვე სტალინგრადის, როსტოვისა და ჩელიაბინსკის ოლქების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების საბჭოთა მეურნეობებმა. გარდა ამისა, რუსეთის სფსრ და ყაზახეთის სსრ მთელი რიგი ოლქებისა და რესპუბლიკების მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა, რომლებსაც არა აქვთ ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის გეგმა, 10 აგვისტოსათვის მოხნეს 719 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. აქედან ამურის ოლქის კოლმეურნეობებში მოხნულია 161 ათასი ჰექტარი, სტალინგრადის ოლქში — 129 ათასი ჰექტარი და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკაში — 104 ათასი ჰექტარი. სულ სსრ კავშირში ამა წლის 10 აგვისტოსათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოხნულია 14,1 მილიონი ჰექტარი მაღალნაყოფიერი ყამირი და ნასვენი მიწები. მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავ მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ხვნაზე 1955 წელს დასათესად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყაზახეთის, ციმბირისა და ურალის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დარგში მიმდინარე წელს მიღწეული წარმატებანი მიაჩნიათ როგორც ჩვენს ქვეყანაში გამოუყენებელი ნაყოფიერი მიწების ათვისებით მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი საყოველთაო-სახალხო საქმის დასაწყისი. 13 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის შესახებ 1954 წ. ს დავალებით არ ამოიწურება ჩვენს ქვეყანაში არსებული იმის უდიდესი შესაძლებლობანი, რომ შრომისა და მატერიალური სახსრების რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვით შემდგომ გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების ნათესები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის წარმოება.

საბჭოთა სახელმწიფოს ყველა საჭირო შესაძლებლობა მოეპოვება ყამირი და ნასვენი მიწების დიდი ფართობების სწრაფი ათვისებისათვის. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ახლა მუშაობს კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა უდიდესი არმია, ჩვენს მრეწველობას უნარი შესწევს დააკმაყოფილოს მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისა და კოლმეურნეობების მოთხოვნილება ტრაქტორებზე, კომბაინებზე, ავტომობილებზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, მოწყობილობასა და მასალებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი მიწების ათვისება და სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა დიდი წვლილია ჩვენს ქვეყანაში პურის მარაგის გადიდების საერთო-სახელმწიფო საქმეში, იგი მთლიანად შეესაბამება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებს, რადგან შესაძლებელს ხდის წარმატებით განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი, უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის სულადობა საკვებით, მკვეთრად გაუმჯობესდეს კოლმეურნეობათა ეკონომიკა და გადადდეს კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ 1955 წლის ნათესებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის დაწესებულ დავალებას.

ითვალისწინებენ რა ახალი მიწების ათვისების გამოცდილებას 1954 წელს და რეალურ შესაძლებლობათა არსებობას ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების დამატებით დამუშავებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებს მუშაკებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ 1954 წელს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის დაწესებული დავალება, რათა 1955 წელს უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა ამ მიწებზე ანეულსა და მზრალში სულ ცოტა 15 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონი ჰექტარისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, 1954 წლის გაზაფხულზე ახალი მიწების ათვისების გამოცდილების მიხედვით და ტექნიკის მთლიანად გამოყენებით, შეძლებენ 1955 წლის გაზაფხულზე დამატებით მოხნან ყამირი და ნასვენი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები და დათესონ მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გარდა 1954 წელს მოხნულ ანეულსა და მზრალში ნათესისა.

მიჩნეულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესი ფართობების შემდგომი გადიდება და მარცვლეულის წარმოების ზრდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით, რათა უკვე 1956 წელს მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები ახლად ათვისებულ მიწებზე აყვანილ იქნას 28-30 მილიონ ჰექტარამდე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყამირი და ნასვენი მიწების ნატურით გამოყოფისა და 1955 და 1956 წლების ნათესებისათვის ამ მიწების ათვისების სამუშაოთა ორგანიზაციაში, ამასთან ფართო პროპაგანდა გაუწიონ და დანერგონ მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება ახალი მიწების ათვისებისა და ამ მიწებზე მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მიღების დარგში.

2. ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების დიდ შესაძლებლობებთან დაკავშირებით და იმის გამო, რომ საჭიროა ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის სრული მექანიზაცია, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, დამზადებათა სამინისტრომ და საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მოამზადონ წინადადებანი ტრაქტორებით, კომბაინებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, მოწყობილობით, მასალებითა და სტანდარტული სახლებით ახალი მიწების ათვისების რაიონების მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უზრუნველყოფის, აგრეთვე ელევატორების, საწყობების, გზებისა და მისასვლელი ლიანდაგების მშენებლობის შესახებ.

3. იმის გამო, რომ ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისება უნდა განხორციელდეს უმთავრესად საბჭოთა მეურნეობების მოწყობის გზით, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაონ ამ რაიონებში მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მოწყობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

4. წინადადება მიეცეთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ახალი მიწების ათვისების რაიონების ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გააძლიერონ ყურადღება იმ მუშებისა და სპეციალისტებისათვის საჭირო საბინაო და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმისადმი, რომლებიც ჩავიდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რისთვისაც ფართოდ მოაწყონ მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობა, ამასთან ყოველი ღონისძიებით წაახალისონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა“ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ ღონისძიებანი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყონ ამ რაიონების მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შეუფერხებელი მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით და მოაწყონ მათთვის საკმაო რაოდენობით სასადილოები, საჩაიეები, ფარდულები, მაღაზიები, სამკურნალო და სარემონტო სახელოსნოები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და კავშირგაბმულობის სამინისტრომ შექმნან ახალი მიწების ათვისების რაიონებში საკმაო რაოდენობით საავადმყოფოები, ამბულატორიები, სამედიცინო პუნქტები, ბიბლიოთეკები, რადიო და კინოდანადგარები და კავშირგაბმულობის განყოფილებანი.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მექანიზატორებით, ინჟინერ-ტექნიკური, აგრონომიული და ხელმძღვანელი კადრებით იმ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებს განმტკიცების საქმეს, რომლებიც მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე, და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ როცა ეს საჭირო იქნება, ათეულ ათასობით კვალიფიციური მუშა, აგრონომი, ინჟინერი და ტექნიკოსი, განსაკუთრებით ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მიმდინარე წლის გაზაფხულზე, მხურვალედ გამოეხმაურება მოწოდებას — ნებაყოფლობით წავიდეს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის მუშებს ფართოდ გაიაზღონ სოციალისტური შეჯიბრება ყამირი და ნასვენი მიწების დამატებით ასათვისებლად დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანის რაც შეიძლება მალე შესრულებისათვის, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, მოწყობილობითა და მრეწველობის სხვა ნაკეთობით სოფლის მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის და ახალი მიწების ათვისების რაიონებში ამ მანქანებისა და მასალების დროზე მიწოდებისათვის.

მზადება მეშახტის დღისათვის

მოწინავე შახტში

ტყვარჩელი (ოქტომბერი). [illegible] ტყვარჩელი [illegible] ... ინჟინერები ა. ჭირაქაძე და რ. მენთეშაშვილი.

შრომის დისციპლინის განმტკიცებითა და მოწინავეთა გამოცდილების მასობრივი დანერგვით ახიბლარელებმა საამაყო მაჩვენებლები მოიპოვეს—ქვანახშირის მოპოვების 7 თვის გეგმა შეასრულეს 113,4 პროცენტით, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა—148,3 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების გადიდებისა — 106,2 პროცენტით. ტონა ქვანახშირის ღირებულება შემცირებულია 2 მან. და 12 კაპ. ამასთან განვლილი 7 თვის მანძილზე შახტის კოლექტივმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირი მისცა.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია პირველი უბანი, რომელსაც კომუნისტი ამხ. ო. ჭოლარია ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა იკისრა მეშახტის დღისათვის მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი მისცეს ქვეყანას გეგმის გადამეტებით.

ტყვარჩელში ცნობილია მნგრეველმტვირთავთა ის ბრიგადები, რომლებსაც ნ. სობოლი და ი. ტუტაკი ხელმძღვანელობენ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 120-130 პროცენტით ასრულებენ.

გამართულად, მაღალხარისხოვნად მუშაობენ მეექსკავატორეთა ბრიგადა, რომელსაც პ. პონომარიოვი ხელმძღვანელობს, და ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ი. სანგულია მეთაურობს. ამჟამად შახტში არ მოიპოვება ისეთი, მეშახტე, რომელიც გეგმას ვერ ასრულებდეს.

ტყიბულელების წარმატება

ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი წარმატებით იბრძვიან ტყიბულელი მეშახტეები თავიანთი ტრადიციული დღესასწაულისათვის — მეშახტის დღისათვის ზეგეგმითი ქვანახშირის ამოსაღებად. აგვისტოს პირველი დეკადის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ ტყიბულქვანახშირის ტრესტმა დეკადური დავალება 103,3 პროცენტით გაანაღდა და ქვეყანას დიდი რაოდენობით მისცა ზეგეგმითი ქვანახშირი.

აგვისტოს პირველ დეკადაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც დავალება 104,5 პროცენტით გაანაღა. სტალინის სახელობის შახტში ქვანახშირის მოპოვების დეკადური დავალება შესრულებულია 103,4 პროცენტით, გელათის შახტში — 102,4 პროცენტით. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მოლოტოვის შახტის კოლექტივმა, რომელმაც 11 აგვისტოსათვის შეასრულა 8 თვის გეგმა.

მეშახტეები დღითიდღე აძლიერებენ ქვანახშირის მოპოვების ტემპს.

მტს-ების მშენებლობა მოძრავი მექანიზებული რაზმების მიერ

კიევი, 14 აგვისტო. (საკდესი). უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის ინსტიტუტმა კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა მოძრავი მექანიზებული რაზმების მიერ განუწყვეტელი ნაკადის მეთოდით მტს-ების მშენებლობის პროექტი.

მექანიზებული რაზმი შედგება კალატოზების, შემონტაჟეების, შემლესავებისა და სხვა სპეციალისტთა მუშების გამსხვილებული სპეციალიზებული ბრიგადებისაგან. ყოველ ასეთ ბრიგადას ეძლევა მოწყობილობა, რაც საჭიროა ამა თუ იმ სახეობის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის. ობიექტების მშენებლობა მკაცრად ემორჩილება ერთიან გრაფიკს და იყოფა რამდენიმე სტადიად: მიწის სამუშაოები და საძირკვლის ჩაყრა, შენობების მიწისზედა ნაწილის ამოყვანა, მოპირკეთების სამუშაოები.

განუწყვეტელი ნაკადის მეთოდის თავისებურება ის არის, რომ სპეციალიზებული ბრიგადა, შეასრულებს თუ არა მისთვის დაწესებულ სამუშაოთა სტადიას ერთ მტს-ში, მთელი თავისი მექანიზმებით გადადის მეორე მტს-ის მშენებლობაზე. პირველ მტს-ში სამუშაოთა მომზადებულ ფრონტზე მოდის შემდეგი სპეციალიზებული ბრიგადა და ა. შ.

პროექტით გათვალისწინებულია ცენტრალიზებული წესით დამზადებული ასაწყობი სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების ელემენტების მაქსიმალური გამოყენება. გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ერთ მოძრავ მექანიზებულ რაზმს წელიწადში შეუძლია ააშენოს შვიდი-რვა მტს-ი. სამშენებლო სამუშაოთა ასეთი ორგანიზაციისს მნიშვნელოვნად მცირდება მათი ღირებულება.

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ეს პროექტი მიიღო და წელს ზაფხულში ახლებურად მოაწყო თელი რიგი მტს-ების მშენებლობა.

ავტომატური სატელეფონო სადგურები სოფლებისათვის

ხარკოვი. (საკდესი). უკრაინის ბევრ სოფელში ძველი კომუტატორები იცვლება ავტომატური სატელეფონო სადგურებით, რომლებსაც უშვებს ხარკოვის სატელეფონო-საკომუტატორო ქარხანა. სათანაო ავტომატური სატელეფონო სადგური მუშაობს ისე, რომ მომსახურე პერსონალი არ ესაჭიროება. განსაკუთრებით ხელსაყრელია ეგრეთწოდებული შეკვეთების სისტემა ხაზების ყველაზე მეტად დატვირთვის საათებში, თუ გამოსაძახებელი აბონენტი დაკავებულია, სადგურის ხელსაწყობი აღნიშნავენ გამოძახებას და ნომრის განთავისუფლებისას ავტომატურად ჩართავენ „შემკვეთს“.

სოწარჩოს კოლექტივი ადიდებს სათანაო ავტომატური სატელეფონო სადგურის წარმოებას. წლის დამდეგიდან ისინი გამოშვებულია ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე შარშან იმავე პერიოდში.

კიდევ უფრო ავამაღლოთ სოფლად პარტიული მუშაობის დონე

★ ★

კომუნისტები ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

მევენახეობა გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. პარტიული ორგანიზაციების უპირველეს მოვალეობას შეადგენს გაორკეცებული ძალით აწარმოონ ბრძოლა მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის უხვი მოსავლისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა (მდივანი ქ. ჭიპაშვილი). კოლმეურნეობაში კარგად მოაწყეს ვენახების მოვლა-პატრონობა და შარშან 86 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 122,7 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღეს იმ ბრიგადებმა და რგოლებმა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, მევენახეობის მეათე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. კუტიბაშვილი უდგას სათავეში, 22 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 133 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა. ასეთივე წარმატება მოიპოვეს კომუნისტმა ბრიგადირებმა ი. ვარამაშვილმა, ვ. ნაცვლიშვილმა, ვ. გულარაშვილმა, მერგოლურმა ლ. ოთარაშვილმა და სხვებმა.

სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას 200 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს. აქ წლების მანძილზე ყურძნის ძალიან მცირე მოსავალს იღებდნენ, ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად მოსავლიანობის გეგმა სანახევროდაც არ სრულდებოდა. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ვენახების მოვლა-პატრონობისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საკითხი. კომუნისტებმა ულმობლად ამხილეს მევენახეობაში არსებული ნაკლოვანებანი, მკაცრად გააკრიტიკეს ჩამორჩენილნი და წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიული კრების გადაწყვეტილების შესრულებას სათავეში ჩაუდგა პარტბიურო (მდივანი მ. იაშვილი). ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ვენახებში დროულად და მაღალტექნიკურ დონეზე ჩატარდა. ყოველივე ამან შედეგიც კარგი გამოიღო. წელს აქ თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტები. სოციალისტური შრომის გმირმა, კომუნისტმა გ. ბაცაშვილმა შარშან ბრიგადისათვის მოსავლად მიჩენილ ნაკვეთში ჰექტარზე სამუალოდ 72 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო წელს პარტიულ კრებას სიტყვა მისცა თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს. ამ ვალდებულების გასანაღდებლად გ. ბაცაშვილმა საუკეთესოდ მოუარა ვაზს. მოწინავე ბრიგადას არ ჩამორჩებიან თამარ პაპუნაშვილის, იოსებ ბეჟიტაშვილის და სხვათა ბრიგადები, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ 140-150 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 84 კომუნისტი ირიცხება, რომლებიც მოფიქრებულად არიან განაწილებული საწარმოო ბრიგადებში. დიდია კომუნისტების გავლენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაზე. კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლისათვის. შეჯიბრების სული და გული კომუნისტები არიან. გაზაფხულზე ვენახების დამუშავება შეუწყნარებლად ჩამორჩა. ეს საკითხი შეისწავლა პარტბიურომ და საკითხი კომუნისტთა მსჯელობის საგნად გახადა. პარტიულმა კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ვენახების დამუშავების ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოკლე დროში გამოსწორდა ჩამორჩენა ვენახების დამუშავებაში. ახლა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები სანიმუშოდ არის მოვლილი და უხვი მოსავლის იმედსაც იძლევა.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის შედეგად სანიმუშოდ მოაწყეს ვენახების დამუშავება აგრეთვე შრომის, ველისციხისა და კალაურის კოლმეურნეობებში, სადაც ჰექტარზე სამუალოდ 100-130 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

ამ დღეებში გურჯაანელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაამთავრეს პურეულის მოსავლის აღება. ამჟამად რაიონში მასობრივად არის გაჩაღებული პირუტყვის საკვების დამზადება და სანაწვერალო კულტურების თესვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ სამუშაოებში ბევრგან გარკვეული წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ არის ნაკლოვანებანიც. ბაკურციხის, კოლაგის, ახაშენის კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ საკვების დამზადებასა და სანაწვერალო კულტურების თესვას. ეს ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაციები ყურადღებით არ ეკიდებიან კოლმეურნეთა მორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სასწრაფოდ გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი და კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის.

ვ. სიხარულიძე,

საქართველოს კომუნისტური პარტიის გურჯაანის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციას“ აქვს 170 ჰექტარი ვენახი, მათ შორის მოსავლის მომცემია 138 ჰექტარი. წელს ვენახები კარგად დამუშავეს და ყურძნის უხვ მოსავალსაც მოელიან. სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. დავითაშვილი (მარცხნივ) და გურჯაანის მტს-ის უბნის აგრონომი ი. იმერლიშვილი ამოწმებენ ყურძნის მტევნების „სიჯანსაღეს“.

★

წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვისათვის

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საქმეში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას წარმოებაში. ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას აქცევს ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია.

ამას წინათ პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს საკითხი ინსტიტუტის მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე ტექნიკის სოფლის მეურნეობაში დანერგვის შესახებ. გამოირკვა, რომ 1953 წელს ზოგიერთი აგროტექნიკური ღონისძიება წარმოებაში არასწორად ხორციელდებოდა, რომ მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვის საკითხებზე ძირითადად 4-5 კაცი მუშაობდა, მაშინ როცა ინსტიტუტში 35 მეცნიერი მუშაკია. ყველა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად პარტბიუროს დასახა საჭირო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საქმე.

მახარაძისა და სხვა რაიონებში ლიმონის პლანტაციებს წლების მანძილზე ანადგურებდა მალსეკო. მალსეკოთი ლიმონის დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება მინდობილი ჰქონდათ მეცნიერ მუშაკებს ი. გამყრელიძეს (ინსტიტუტის დირექტორი), ბ. დანელიას, მ. ბზიავას, ს. ფირცხალაშვილს, ი. პატარავას და სხვებს. სამწუხაროდ, ამ ამხანაგებს არაფერი არ გაუკეთებიათ ამ უაღრესად სერიოზული ამოცანის გადასაწყვეტად. სწორად მოიქცა პარტბიურო, რომელმაც ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადა. გამოირკვა, რომ ინსტიტუტს არ ჰქონდა მალსეკოს დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესამუშავებლად საჭირო ლაბორატორია, საამისოდ მოწყობილი საცდელი ნაკვეთი და სხვ. პარტბიურომ მიიღო კონკრეტული დადგენილება, გამოინახა საშუალებანი მალსეკოთი ლიმონის პლანტაციების დაავადების თავიდან ასაცილებლად.

მიმდინარე წლის დასაწყისში ინსტიტუტმა შეფუთა აიღო მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე. მეცნიერმა მუშაკებმა, კომუნისტებმა ს. ფირცხალაშვილმა და ვ. ჯაშმა შეისწავლეს კოლმეურნეობაში ჩაის დაბალი მოსავლიანობის მიზეზები. ამ შესწავლამ ცხადყო, რომ პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დანესტიანებულია, ჩაის ნაკვეთებში საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ მინერალური სასუქები, არ იყენებენ მექანიზაციას. ამჟამად ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური წესების ზუსტად გატარებას მეთვალყურეობას უწევს მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი, და შედეგიც კარგია.

ინსტიტუტი საქმიანად ეხმარება მახარაძის მტს-ის მექანიზატორებსაც. მტს-ზე მიმაგრებულია კომუნისტი ინჟინერ-მექანიკოსი მ. კვირკველია. იგი სისტემატურ კონსულტაციასა და ახსნა-განმარტებას უწევს მინდვრად სამუშაოზე გასულ ტრაქტორისტებს ახალი მანქანების სრულყოფილად დაუფლებისა და გამოყენების საქმეში.

ბ. ჩხაიძე.

პარტიის რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები

წკაპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გაიზარდა და განმტკიცდა ქარელის რაიონის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობა. ამჟამად პირველადი ორგანიზაციები შექმნილია რაიონის 36 კოლმეურნეობაში. პარტიული ორგანიზაციების მდივნებიდან 16 პირველად არის არჩეული.

პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განუწყვეტელი ამაღლება და მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული თვით პარტორგანიზაციების მდივნებზე, მათს მომზადებასა და უნარზე. ამიტომ რაიკომი სერიოზულ მუშაობას ეწევა პირველადი ორგანიზაციების მდივნებთან, ზრუნავს მათი პოლიტიკური განათლების დონის ამაღლებისათვის, პრაქტიკულად ეხმარება მათ ხელმძღვანელობის მეთოდების დაუფლებაში. რაიკომის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ვისმენთ პირველადი ორგანიზაციების მდივნების ანგარიშს, ადგილებზე მისვლისას ვუწევთ ინსტრუქტაჟს. რაიკომი პერიოდულად მართავს პირველადი ორგანიზაციების მდივნების სემინარებს. წელს ასეთი სემინარი სამჯერ მოეწყო, მათ შორის ერთი ახლად არჩეული მდივნებისათვის. სემინარებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის აღების დღეებში, პარტიაში მიღება და სხვ. უკანასკნელ ხანებში სემინარები ეწყობა არა რაიკომში, არამედ მტს-ების ზონებში, რაც უკეთეს შედეგებს იძლევა.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მტს-ების ზონებში რაიკომის მუშაკთა ჯგუფები შეიქმნა. ამის შედეგად ხელმძღვანელობა ახლა უფრო კონკრეტული გახდა. ინსტრუქტორთა ჯგუფების საშუალებით პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ადგილებზე ეწევათ ცოცხალი ინსტრუქტაჟი.

პირველადი ორგანიზაციების უმრავლესობა სერიოზულად აწყობს თავისი მუშაობის გარდაქმნას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მაგალითად, სოფელ დირბის კოლმეურნეობა ამჟამად ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა რაიონში. მისი სახნავსათესი ფართობი 1.843 ჰექტარს შეადგენს. კოლმეურნეობაში კარგად არის განვითარებული ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის და ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცხოველეობასაც. წინათ უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეობა შეუწყნარებლად ჩამორჩებოდა. იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები, მოუწესრიგებელი იყო შრომა. ამიტომ შრომადღეზე უმნიშვნელო რაოდენობით ნაწილდებოდა პროდუქტები. დირბის კოლმეურნეობის წინწამოსაწევად სერიოზულად იმუშავა პარტიის რაიკომმა. უწინარეს ყოვლისა პარტიული ორგანიზაციის რჩევით შეიცვალა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. გადახალისდა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც. პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ენერგიული მუშაკი ა. ბერიძე.

პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ მთავარი ყურადღება მიაქციეს შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და არტელის წესდების ზუსტად დაცვას. მტკიცე კონტროლი დაწესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და ამ შეჯიბრებაში თან გაიყოლიეს უპარტიო კოლმეურნეები. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა მოსაველიანობა. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მილიონამდე მანეთს მიაღწია.

სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობაში ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობდა სოციალისტურ შეჯიბრებას. რეგულარულად არ იწვევდნენ კომუნისტთა კრებებს. რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა პარტიული ორგანიზაციის მდივნის ვ. ლომიტაშვილის ანგარიში და მუშაობის გასაუმჯობესებლად დაისახა სათანადო ღონისძიებანი. ბიურომ დაავალა რაიკომის მდივანს ქარელის მტს-ის ზონაში ი. მეყანწიშვილს და ინსტრუქტორს რ. ანანიაშვილს ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ კეხიჯვრის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციისათვის. ერთი თვის შემდეგ რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება. გამოირკვა, რომ პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ლომიტაშვილმა სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან. ამის გამო საჭირო გახდა ვ. ლომიტაშვილის განთავისუფლება. მის ნაცვლად პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა უფრო უნარიანი და მცოდნე კომუნისტი ე. ნასყიდაშვილი. ამ ღონისძიებამ საქმეს უშველა, კოლმეურნეობაში მდგომარეობა გაუჯობესდა, პარტიული ორგანიზაციის მუშაობა გამოცოცხლდა.

სოფელ ბებნისის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში ჩამორჩენილი იყო საagიტაციო-მასობრივი მუშაობა, ამჟამად გამოდიოდა კედლის გაზეთი. პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავდა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ შ. გოგალაძემ და პროპაგანდისტმა ი. ვალიშვილმა შეისწავლეს ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები. ამ ამხანაგებმა ადგილზე მოაწყეს აგიტატორთა მეცადინეობა, დაეხმარნენ მათ პრაქტიკული რჩევა-დარიგების მიცემით. ამის შემდეგ აგიტატორებმა მ. კიკნაძემ, მ. ხორბალაძემ, ვ. ჭუბაბრიამ და ქ. სავანაძემ უფრო შინაარსიანი და ცოცხალი საუბრები გამართეს, უკეთ მოაწყეს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებით კოლმეურნეობაში სახელი გაითქვეს პირველი ბრიგადის მერგოლურმა მარიამ გელაშვილმა და კოლმეურნეს. ცეცხლაძემ. მათი გამოცდილების შესახებ აგიტატორებმა მრავალი საუბარი გამართეს მეჭარხლე კოლმეურნეებთან.

მიუხედავად ამისა, პარტიის რაიკომს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. კერძოდ, იყო მტს-ის ზონაში რაიკომის ინსტრუქტორთა არაგულდასმით შერჩევის შემთხვევები. რაიონული კომიტეტი ახლა უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება ზონის ინსტრუქტორების საქმიანობას და იმას, თუ რა პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ისინი პირველადს ორგანიზაციებს.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მტს-ებმა უკანასკნელ ხანში გაძლიერეს მუშაობა. მტს-ების ზონებში რაიკომის მდივნებისა და ინსტრუქტორთა ჯგუფების ორგანიზატორული მუშაობის გავლენა უკვე იგრძნობა კოლმეურნეობებში, კერძოდ მოსავლის აღების მიმდინარეობაში.

მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში ძალიან ჩამორჩა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მართალის, რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა ამ კოლმეურნეობის საკითხი და პრაქტიკული დახმარებაც გაეწია მას, მაგრამ ნაკლოვანებანი მთლიანად არ არის დაძლეული. სოფლების რუისის და იმერხევის კოლმეურნეობებში კვლავ არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები. მოხისისა და ავლევის კოლმეურნეობებში ჩამორჩენილია ვენახების დამუშავება. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭირო პარტიის ქარელის რაკომმა კიდევ უფრო გააძლიეროს ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისადმი, შემდგომ აამაღლოს მათი ბრძოლისუნარიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ვ. გელაშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქარელის რაიკომის მდივანი.

★ ★

გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება პარტიის სასოფლო რაიკომების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. აბაშის მტს-ის ზონაში რაიკომის მდივნის გარდა 4 ინსტრუქტორი მუშაობს. იქ, სადაც ზონის ინსტრუქტორები ღრმად სწვდებიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პირველადს ორგანიზაციებს, შედეგებიც თვალსაჩინოა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სოფელ ნოღოხაშის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა. გასულ წელს აქ შეუწყნარებლად ჩამორჩებოდნენ. კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ცუდი მუშაობის შედეგად გაჭიანურდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, შესუსტდა შრომის დისციპლინა. წლის ხოლოს კოლმეურნეობამ დაბალი მოსავალი მიიღო.

რაიკომის მუშაკთა ჯგუფის შემქმნისთანავე ზონის ინსტრუქტორი თ. თელია დაუყოვნებლივ შეუდგა ჩამორჩენილი კოლმეურნეობის შესწავლას. უწინარეს ყოვლისა მან მუშაობა დაიწყო ადამიანებიდან. მისი რჩევით კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ბრიგადები და მეცხოველეობის ფერმები განამტკიცეს კადრებით. გამოიცოცხლდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. ამჟამად სოფელ ნოღოხაშის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია. აღსანიშნავია, რომ სიმინდი ნაცვლად 150 ჰექტარისა კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ იქნა 179,5 ჰექტარი. შესრულებულია ბოსტნეულის, ბალჩეულის, სათიბი ბალახების, საკვები ძირხვენების, სასილოსე სიმინდის, ღომისა და ლობიოს თესვის, აგრეთვე ბამბუკის, ხურმის პლანტაციისა და ხეხილის ბაღების გაშენების გეგმები.

კოლმეურნეობის გამგეობა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის სადგომების მშენებლობას. კომუნისტების აქტიური მონაწილეობით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბინა 79 სულისათვის. სწრაფი ტემპით შენდება ასეთივე სახის სადგომი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის და 200 ტონის ტევადობის სილოსის კოშკები.

უკანასკნელ ხანებში უკეთ მუშაობს აბაშის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი რ. გვახვა). პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის სწორად შეხამებამ უზრუნველყო მტს-ის კოლექტივის მჭიდროდ დარაზმვა და ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დიდი გადაჭარბებით შესრულება. მტს-მა წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.500 ჰექტარისა მოხნა 7.275 ჰექტარი, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივად 2.000 ჰექტარის ნაცვლად დათესა 2079,4 ჰექტარი. ახლა მექანიზატორები წარმატებით ატარებენ სათოხნი კულტურების მესამე კულტივაციას.

მაგრამ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია ასე როდი მუშაობს. ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, მთლიანად და სავსებით შეეხება პარტიის აბაშის რაიკომსაც. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არსებითად არ სწვდება საკოლმეურნეო ცხოვრებას, გადამწყვეტ უბნებზე სწორად არა ჰყავს განაწილებული კომუნისტები, უყურადღებას არ აქცევს შრომის ორგანიზაციას, ურიგდება არტელის წესდების დარღვევებს, ნაკლებად ზრუნავს მასების პოლიტიკური აღზრდისათვის.

ამის მაგალითს წარმოადგენს სოფელ სეფიეთის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. უკანასკნელ ხანს აქ საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა. კოლმეურნეობაში შესუსტდა შრომის დისციპლინა, არ სრულდება მეცხოველეობის განვითარების გეგმები. წელს სიმინდის თესვის გეგმის შესრულებას დააკლეს 156 ჰექტარი. იყო ზემდგომი ორგანოებისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაზე ყალბი ცნობების მიწოდების ფაქტები. კიდევ მეტი, კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ გ. ხუციკოლავამ ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების განივებას. ყოველივე ეს ხდებოდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის თვალწინ, ზოგიერთ შემთხვევაში კი პარტბიუროს ყოფილი მდივნის ა. ღვანიას მონაწილეობითაც.

რაიონში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელია.

ბევრ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, ხოლო პარტიის რაიკომი კვლავ სუსტად ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას. ჩვენი ვალია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს და წამოვწიოთ ისინი მოწინავეთა დონემდე. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების შესწავლა და მისი გავრცელება.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანას ისე ვერ გადავწყვეტთ, თუ ხოლომდე არ დავამთავრებთ რაიკომის მუშაობის გარდაქმნას, თუ შემდგომ არ გავაძლიერებთ პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას. ამისათვის საჭიროა ქმედითი დახმარება და ინსტრუქტაჟი გავუწიოთ პარტიული ორგანიზაციების მდივნებსა და მათს მოადგილეებს, ყოველდღიურად ვზრდოთ სოფლის კომუნისტების ინიციატივა და აქტივობა. პარტიის რაიონული კომიტეტი მოწოდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს სოფლად პარტიულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, უფრო ქმედითი და კონკრეტული დახმარება გაუწიოს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს.

ო. კერძაია,

საქართველოს კომუნისტური პარტიის აბაშის რაიკომის მდივანი.

ორგანიზატორები სამუშაოზე

წვიმის შემდეგ მზემ უხვად დააფრქვია მცხუნვარე სხივები გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის პურის ყანებს. ყანის გამშოლებს მოლოდინში საველე კალოზე მოწყობილი აგიტპუნქტის წინ მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს მოეყარათ თავი.

— გამოვიყენოთ ეს დრო, მოხსენებას წავუკითხავ ხალხს, — უთხრა ორგანიზატორმა ი. მაკრახიძემ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს.

— საქმიანი წინადადებაა, — იყო პასუხი.

საუბარი დაიწყო. ორგანიზატორმა მოხსენება წაიკითხა თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება“. მოხსენებამ მექანიზატორთა და კოლმეურნეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

...გადამუადღევდა. ველის ხომალდები შეუდგნენ მუშაობას. კომბაინერმა რ. ურჯუმელაშვილმა გვიან დალამებამდე კიდევ მოასწრო „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 10,5 ჰექტარის მომკა. არც თვითმავალი კომბაინის კომბაინერს ლ. თარაშვილს შეურცხვენია თავი — ნახევარ დღეში მოსავალი 7 ჰექტარზე აიღო.

ორგანიზატორმა ი. მაკრახიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მინდვრად პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას. მან რამდენჯერმე შეკრიბა აგიტატორები, რომლებსაც კონკრეტული ამოცანები დაუსახა. მოსავლის აღებაზე მომუშავეთათვის 3-ჯერ მოაწყო კინოსურათის ჩვენება.

სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინებით მოსავლის აღების ორგანიზატორია გ. გიგაური. ის კარგად იცნობს სოფლის მეურნეობას. კოლმეურნეობაში მისვლის პირველ დღესვე გ. გიგაურმა შეკრიბა კომუნისტები და მათთან ერთად დაწვრილებით შეეძიწმა კომბაინებით მოსავლის აღებისათვის მზადყოფნა.

ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების დაწყების პირველ ხანებში „კომუნარის“ მარკის კომბაინს განათება არ ჰქონდა. ამიტომ ღამით ვერ მუშაობდა. ორგანიზატორის დახმარებით კომბაინზე მალე მოწყობილ იქნა ელექტროგაყვანილობა განათებისათვის. ღამე მუშაობით კომბაინერმა ე. დუდაშვილმა შეძლო აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულება.

კომუნისტი კომბაინერი ვ. დონგუზაშვილი, რომელმაც 19 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 376 ჰექტარზე და გალეწა 17.232 ფუთი მარცვლეული, სოფელ შავშვებიდან დასახმარებლად გადავიდა სოფელ ნადარბაზევის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში და აქაც შეუფერხებლად მუშაობს.

— კომბაინებით მოსავლის აღების ორგანიზატორები, — აცხადებს ახალსოფლის მტს-ის დირექტორი დ. საამიშვილი, — დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს.

კარგად მოაწყეს აგრეთვე მუშაობა კომბაინებით მოსავლის აღების ორგანიზატორებმა ა. ქუჩუკაშვილმა (სოფელი ზეიდულეთი), გ. ქერდიყოშვილმა (სოფელი ყელქცეული) და სხვებმა. მაგრამ არის ნაკლიც. მაგალითად, კომბაინებით მოსავლის აღების ორგანიზატორმა ნ. მამალაძემ სოფელ ქიწნისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ვერ უზრუნველყო კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად პარტიის გორის რაიკომს მინდვრად მომუშავე კომბაინთა აგრეგატებზე გაგზავნილი ჰყავს 34 ორგანიზატორი. მათი დიდი უმრავლესობა მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

მეაბრეშუმე ნოვაჯორი მოუთხრობს...

სურათზე: სტალინური პრემიის ლაურეატი ო. აივაზაშვილი (მარჯვნივ) ესაუბრება კოლმეურნეებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

* * *

კოლმეურნეობის საერთო კრების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ქისტაურის სასოფლო კლუბის წინ თავი მოიყარეს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა — ბრიგადირებმა, მერგოლურებმა, კოლმეურნეებმა. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს მთავრობის მაღალი ჯილდოები. ისინი დღეს შეხვედრას უწყობენ მოსკოვიდან, გამოფენიდან დაბრუნებულ თავიანთ სახელოვან თანასოფელს, ახმეტის რაიონის ქისტაურის კოლმეურნეობის მერგოლურს, მეაბრეშუმე ნოვატორს, სტალინური პრემიის ლაურეატს ოსნა აივაზაშვილს.

კლუბი ვერ იტევდა შეხვედრაზე დასწრების ყველა მსურველს. კოლმეურნეები სმენად გადაიქცნენ, ყურადღებით უსმენდნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევათა ზეიმის — სრულად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის — მონაწილეს ო. აივაზაშვილს, რომელიც უბრალო და გასაგები ენით მოუთხრობდა მათ მოსკოვში შეძენილ მდიდარ გამოცდილებაზე.

— სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, — დაიწყო ოსნამ, — ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე ვმონაწილეობდი. და აი ახლაც წოლად მზვდა დიდი ბედნიერება — კვლავ ვიხილე მშობლიური მოსკოვი, კვლავ ვეწვივე სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ულამაზეს პავილიონებს. უნდა ითქვას, რომ გაკვირვებული დავრჩი იმ უდიდესი ცვლილებებით, როლებიც იქ მომხდარა. გამოფენის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაზრდილა, პავილიონები გაფორმებითა და არქიტექტურით ჰგავან სასახლეებს, სადაც ჩვენი დიდი სამშობლოს ამოუწურავი სიმდიდრის დემონსტრაცია ხდება.

რამდენიმე დღე, რაც მე გამოფენაზე გავატარე, ჩემთვის შესანიშნავი სკოლა გახდა. გამოფენა სახალხო უნივერსიტეტია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ უკეთესად, სწრაფად და წარმატებით განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის დიდებული პროგრამა.

განსაკუთრებით მაინტერესებდა ჩვენს ქვეყანაში მეაბრეშუმეობის დარგში მიღწეული წარმატებანი. ეს გასაგებიც არის — მეაბრეშუმეობა ხომ ქისტაურელ მშრომელთა საყვარელი დარგია, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ჩვენს სოფელს და მის მოწინავე ადამიანებს! ქისტაურელთა მეთოდით ამჟამად ასობით მეაბრეშემე მუშაობს. მოსკოვში შეეხვედი საბჭოთა ქვეყნის ყველაზე წარჩინებულ მეაბრეშუმეებს. ინტერესით გავეცანი უზბეკ, ტაჯიკ და მოლდაველ მეაბრეშუმეთა მუშაობის მეთოდებს. ჩემი მხრივ მეც ვუამბე მათ აბრეშუმის ჭიის მოვლის ქისტაურულ მეთოდზე, რომლის გამოყენებით 1939 წელს ჩემს რგოლში თვითეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე 105 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი მივიღე, 1940 წელს — 108 კილოგრამი, 1941 წელს — 115 კილოგრამი, ხოლო შარშან — 125.7 კილოგრამი. ზრდის ეს ციფრები მოწმობს ქისტაურული მეთოდის დიდ პროგრესულობას.

მოსკოვში ახლოს გავიცანი სტალინური პრემიის ლაურეატი, უზბეკეთის სსრ ბუზარის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ხურმატ ტშაევი, რომლის რგოლის წევრებმა 15-20 დღით შეამცირეს ჭიის გამოკვების ვადები. მე მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავები.

თუ თავის ქებად არ ჩაითვლება, ვიტყვი, რომ ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილებას მოსკოვში ღრმა ინტერესით სწავლობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მეაბრეშუმეები. როცა ტაჯიკმა მეაბრეშუმემ უმერი მამედოვამ დათვალიერა ჩვენი მუშაობის ამსახველი მასალები, გაკვირვებული დარჩა, რომ 19 დღეში ვამთავრებთ ჭიის გამოკვებას და ამასთან თვითეულ კოლოფზე 120 კილოგრამზე მეტ აბრეშუმის პარკს ვიღებთ. ეს მაშინ, როცა უ. მამედოვს რგოლში ჭიის გამოკვების ხანგრძლივობა 29 დღეა, ხოლო შარშანდელი მაჩვენებლებით პარკის მოსავლიანობა თვითეულ კოლოფზე — 98 კილოგრამი.

ჩვენთვის, ქისტაურელებისათვის, სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენი მშობლიური კოლმეურნეობის მიღწევებს მეაბრეშუმეობის დარგში ფართოდ ეცნობიან თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული მშრომელნი. შორს გაიტანეს ქისტაურის სახელი კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურებმა ნუშო დურგლიშვილმა, ვართო კვიცაშვილმა, რიგითმა კოლმეურნეებმა მართა აივაზაშვილმა, ეთერ და თამარ საკაკვილებმა, ანეტა მებაღიშვილმა და სხვებმა. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმას.

1939 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოფნისას ჩვენმა რგოლმა ვალდებულება იკისრა წელიწადში მიეღო აბრეშუმის პარკის ექვსი მოსავალი. ეს ვალდებულება წარმატებით გავანადღეთ. ახლანდელი გამოფენის აღსანიშნავად კი ქისტაურელ მეაბრეშუმეები დაამტკიცებენ, რომ შესაძლებელია წელიწადში აბრეშუმის პარკის 7-8 მოსავლის მიღებაც.

მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში მეთუთეობის განვითარების ტემპი ჩამორჩება მეაბრეშუმეობის განვითარების ტემპს, ნაკლები ყურადღება ექცევა თუთის ახალი პლანტაციების გაშენებასა და მოვლას. კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ აუშენებია სპეციალური საქე ბინები.

ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მუშაობის მეთოდს წარმატებით იყენებენ ჩვენი საშშობლოს სხვადასხვა რაიონში. ეს კარგია, მაგრამ გულისტკივილს იწვევს ის ფაქტი, რომ თვითონ აქ, ახმეტის რაიონში, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილების გავრცელებას. აბა გადაათვალიერეთ რაიონულ გაზეთ „გამარჯვების“ თუნდაც უკანასკნელი ორი თვის ნომრები. იქ ძნელია ნახოთ მასალები ნოვატორ მეაბრეშუმეთა გამოცდილებაზე...

თუმცა ყველაზე უფრო ნეტად მეაბრეშუმეობა მაინტერესებს, მაგრამ დიდი გულისყურით ვსწავლობდი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მიღწევებს და პროგრესულ მეთოდებს. გულდასმით დავთვალიერე მეცხოველეობის სტენდები. სიმართლე სჯობს ითქვას — მე რომ იქ ძროხებიანზე, ჩვენი ფერმის ძროხები გამოსაჩენი არ არიან იმათთან. მაგალითად, იქ ენაზე კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კარაკავოს“ ძროხა „სხვატკა“, რომელიც წელიწადში 14.418 კილოგრამ რძეს იძლევა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი ფერმის ძროხა წელიწადში 300 კილოგრამს ძლივს იწველის. ან რა გასაკვირველია ეს, როცა მთელ ახმეტის რაიონში ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა 4 პროცენტს არ აღემატება! რატომ არ შეიძლება ჩვენც შევიძინოთ ჯიშიანი ძროხები? მეცხოველეობის ექსპონატების დათვალიერებით აგრეთვე დავრწმუნდი, თუ როგორ ჩამორჩება ჩვენს კოლმეურნეობაში მეღორეობა. გამოფენაზე ვნახე ჯიშიანი ღორი, რომელიც 500 კილოგრამს იწონის და დედაღორი, რომელიც თითო მოგებაზე 15-20 გოჭს იძლევა. უნდა ვიბრძოლოთ ამისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ სამარცხვინო ჩამორჩენას მეცხოველეობაში და მომავალ წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფართო ჩვენებით წარვდგეთ. ეს შეეფერება ქისტაურელთა სახელს.

ქისტაურში განქმედია მეაბრეშუმეობით, მაგრამ ეს იმის საფუძველს როდი გვაძლევს, რომ ყურადღება არ მივაქციოთ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას. გამოფენის მდიდარი გამოცდილება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მარცვლეულის მეურნეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად. ჩვენი ამოცანაა ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის უსწრაფესი აღმავლობისათვის.

* * *

ო. აივაზაშვილის მოხსენება კოლმეურნეებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს და მას მრავალი შეკითხვა მისცეს. მოხსენებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი მაილაშვილმა, მოწინავე მეაბრეშუმეებმა მერგოლურებმა ვართო კვიცაშვილმა, ნუშო დურგლიშვილმა, მევენახეობის მერგოლურმა ს. ტერტერაშვილმა, კომკავშირელმა შეაბრეშუმემ მარგო ალექსანაშვილმა. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ დანერგონ პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მდიდარი გამოცდილება.

ერთხმად მიღებულ დადგენილებაში ქისტაურის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს მიაღწიონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უზე მოსავალს, გაადიდონ პირუტყვის სულადობა, აამაღლონ მისი პროდუქტიულობა.

კრება დამთავრდა. კოლმეურნეები შინ წავიდნენ იმ რწმენით, რომ მტკიცედ დანერგავენ პრაქტიკაში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ძვირფას გამოცდილებას.

ხ. არღუნელი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

თიანეთის რაიონში

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

რაიონული ცენტრის მშვენებას წარმოადგენს 24 ათას კვადრატულ მეტრზე ლამაზად მოასფალტებული მთავარი ქუჩა, რომელსაც ორივე მხარეს კილომეტრნახევარზე ჩასდევს აკაციის ნარგავები. წელს თიანეთის ცენტრალურ ქუჩებში დამატებით დაირგო ათასი ძირი ფიქვი, ნაძვი, აკაცია და სხვა წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეები. კულტურისა და დასვენების პარკში აიგო ღია ესტრადა, დაიდგა ლამპიონები. მთავარი ქუჩის გაგრძელებაზე წელს დამატებით დაიგება ასფალტი ხუთი ათას კვადრატულ მეტრზე.

ახალი თბოელექტროსადგური

მდინარე იორზე აგებული ახი ცხენის ძალის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ველარ აკმაყოფილებდა ელექტროენერგიაზე თიანეთის მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ დამატებით აიგო თბოელექტროსადგური, რომელიც ამ დღეებში ამუშავდა.

თბოელექტროსადგურის ამუშავებამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა რაიონის ცენტრის ელექტროგანათება.

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

თიანეთის მტს-ს აქამდე ელექტროენერგიას აწვდიდა მცირეძალიანი თბოელექტროსადგური, რაც ვერ აკმაყოფილებდა მტს-ის მოთხოვნილებას. ამ დღეებში გაყვანილ იქნა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის ამუშავებამ მთლიანად უზრუნველყო ელექტროენერგიით მტს-ი.

პირუტყვის სადგომების მშენებლობა

რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვისათვის ახალი კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კეთილმოწყობილი სადგომი აშენდა მაგრანეთის კოლმეურნეობაში. ტუშურების კოლმეურნეობაში აიგო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბინა, აგრეთვე საღორე ოთხმოცი სული ღორისათვის. კეთილმოწყობილი საფრინველე აშენდა ობარაანის კოლმეურნეობაში. პირუტყვისათვის სადგომების მშენებლობა მიმდინარეობს ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც.

შ. ამირანაშვილი.

წყალტუბოს კურორტვაჭრობის ახალი საბჭოთა მეურნეობა

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს გადწყვეტილებით სოფელ მაღლაკში, რომელიც 18 კილომეტრით არის დაშორებული კურორტ წყალტუბოს, „გლავკურორტორგის“ საქართველოს კანტორის წყალტუბოს განყოფილებას გამოეყო 400 ჰექტარი ფართობი, სადაც შენდება ბოსტნეულისა და სარძეო საბჭოთა მეურნეობა.

ამ ახალ მეურნეობაში წელს უკვე დათესილი იყო 40 ჰექტარი ფართობი, სადაც კომბოსტოს, პომიდორის, კიტრის, სტაფილოს, ხახვის, წწვანილის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

გარდა ბოსტნეულისა, ახალი საბჭოთა მეურნეობა კურორტ წყალტუბოს თავისი ახლად ჩამოყალიბებული ფერმიდან ამარაგებს რძითაც. ფერმას ჰყავს 30 სული მაღალპროდუქტიული ძროხა, ახლო მომავალში სოკიდან მიიღებს კიდევ 50 სულს.

ახალი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა წელსვე უნდა დამთავრდეს იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლიდან უზრუნველყოფილ იქნას კურორტის შეუფერხებელი მომარაგება რძითა და ბოსტნეულით მთელი წლის განმავლობაში. ამ მიზნით ძროხების რაოდენობა აყვანილ იქნება 200 სულამდე, ხოლო ბოსტნეული დათესება 250 ჰექტარზე.

დარბაზობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში

15 აგვისტოს კორეის სახალხო-დემოკრატიული [illegible] ელჩი [illegible] ბ. ბ. ბ.

იაპონიაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის განცხადება ტოკიოში ანგისაბჭოთა პროპოკაციის გამო

შანხაი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, 9 აგვისტოს ტოკიოში სსრ კავშირის წარმომადგენლობაზე იმ პროვოკაციულ თავდასხმასთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყეს ფაშისტური პარტიის „აიკოკუტოს“ წევრებმა, სსრ კავშირის წარმომადგენლობამ იაპონიაში 14 აგვისტოს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი განცხადება გაუგზავნა:

„1954 წლის 9 აგვისტოს ხულიგნებისა და პროვოკატორების ჯგუფი იაპონიის ფაშისტური ორგანიზაციიდან „აიკოკუტო“ აკაო ბინის მეთაურობით თავს დაესხა საბჭოთა წარმომადგენლობას ტოკიოში. ამ თავდასხმელებმა შეამტვრიეს ჭიშკარი, წარმომადგენლობის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, სცემეს ეზოში მყოფ საბჭოთა მოქალაქეს ხუდიმკინს, გააკრეს ანტისაბჭოთა ფურცლები და პლაკატები და ცდილობდნენ შესულიყვნენ სსრ კავშირის წარმომადგენლობის შენობაში. აღნიშნული უწესობა ხდებოდა ბევრი იაპონელი პოლიციელის თვალწინ, რომლებსაც არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი აკაო ბინისა და მისი თანამონაწილეების შეუწყნარებელი მოქმედების შესაწყვეტად.

ამრიგად, ტოკიოში საბჭოთა წარმომადგენლობის მიმართ ჩადენილია ძალადობისა და ელემენტარული საერთაშორისო ნორმების დარღვევის უხეში აქტი.

მიაქცევს რა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღებას აღნიშნული ფაქტისადმი, სსრ კავშირის წარმომადგენლობას იმედი აქვს, რომ იაპონიის ხელისუფალნი მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა სასტიკად დაისაჯონ ის პირნი, რომლებმაც სსრ კავშირის წარმომადგენლობის მიმართ ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაულებრივი მოქმედება, და მომავალში არ დაუშვებენ ასეთ მოქმედებას“.

ბელგიაში წყალში ჩაუშვეს საბჭოთა კავშირისათვის აგებული თბომავალი

ბრიუსელი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ქალაქ ტამენის (აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინცია) გემსაშენში წყალში ჩაუშვეს 3.100 ტონა წყალწყვეტის თბომავალი „ნიკოლოზ დობროლიუბოვი“, რომელიც ფირმა „ბოელმა“ ააგო საბჭოთა კავშირისათვის. ეს მესამე თბომავალია, რომელიც ფირმამ მიმდინარე წელს ააგო სსრ კავშირის სავაჭრო ფლოტისათვის.

სსრ კავშირისა და ბელგიის სახელმწიფო ალმებით მორთული თბომავლის წყალში ჩაშვების ცერემონიის დროს ორკესტრმა შეასრულა ორივე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. დაესწრნენ საბჭოთა საელჩოს წევრები, სსრ კავშირის საგაჭრო წარმომადგენელი ბელგიაში როდნოვი და გემსაშენის ხელმძღვანელები.

იოსიდას გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ გადაიდო

შანხაი, 15 აგვისტო. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა კენძი ფუკუნაგამ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრ სიგერუ იოსიდას გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც განზრახული იყო სექტემბერში, კვლავ გადაიდება.

კორეის განთავისუფლების მეცხრე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ფხენიანში

ფხენიანი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ თეატრ „მორანბონში“ გაიმართა გმირი საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მეცხრე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მარშალ კიმ ირ სენის მეთაურობით.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ფხენიანის საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ჩენ ენ პხომ. შესრულებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

კორეის განთავისუფლების მეცხრე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ ტენ ირ ლენმა.

მომხსენებელმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალე მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირისადმი კორეის განთავისუფლებისათვის.

შემდეგ მან დაწვრილებით დაახასიათა ცხრა წლის განმავლობაში განვლილი გზა და ილაპარაკა რესპუბლიკის დემოკრატიული ბაზის განმტკიცების შემდგომ ამოცანებზე.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის ელჩმა კორეაში ს. პ. სუზდალევმა. სხდომაზე მიღებულ იქნა მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

კორეის განთავისუფლების მე-9 წლისთავის დღესასწაული

ფხენიანი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს კორეელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულს — იაპონიის კოლონიური უღლისაგან საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მეცხრე წლისთავს. ფხენიანში გაიმართა კორეის სახალხო არმიის შეიარაღებული ძალების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

ვრცელ მოედანზე ჩამწკრივდნენ პარადისათვის მომზადებული სამხედრო ნაწილები. ტრიბუნებზე არიან ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, მოწინავეები და შრომის გმირები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირები. ტრიბუნებზე არიან აგრეთვე სტუმრები — სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

დილის ათი საათია. ტაშის გრიალში და მძლავრ „ვაშას“ ძახილში ცენტრალურ ტრიბუნაზე აღიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები: კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, პაკ დენ ი, პაკ ჩან ოკი, კიმ ირი, ცოი ჩან იკი, ხონ მენ ხი, ტენ ირ ლენი, პაკ ი ვანი, პაკ ენ ბინი, პაკ კიმ ჩერი.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვიცე-მარშალი ცოი ენ გენი პატაკს იღებს პარადის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ კიმ ხვან ხებისაგან და ჩამოუვლის ჯარებს. შემდეგ ცოი ენ გენი ამბობს სიტყვას, რომელშიც ულოცავს კორეის სახალხო არმიის ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და ზემდგებს, ოფიცრებსა და გენერლებს 15 აგვისტოს დღესასწაულს. იგი მოუწოდებს მათ განმტკიცონ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ძლიერება, რათა სამედოდ დაიცვან ხალხის მშვიდობიანი შრომა.

სამხედრო პარადის შემდეგ ტრიბუნებს ჩამოუარეს გმირი ქალაქის მცხოვრებლებმა: მუშებმა, მახლობელი სოფლების გლეხებმა, პიონერებმა, სტუდენტებმა, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებმა. ისინი მიესალმებიან კორეის შრომის პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს. დემონსტრანტებს მოაქვთ ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ კორეელი ხალხის ურყევ მისწრაფებას სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და დაზავების განმტკიცებისაკენ და მოუწოდებენ კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ სახალხო მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისათვის. ტრანსპარანტები მოგვითხრობენ წინასადღესასწაულო შეჯიბრებაში ფხენიანელთა დიდი შრომითი წარმატებების შესახებ.

ფხენიანის მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 300 ათასამდე კაცმა.

საღამოს ათასობით მცხოვრებ გამოვიდა ელექტრობით გაჩირაღდნებულ ქალაქის ახალ მოედნებზე და ქუჩებში. ცხრა საათზე გაისმა სადღესასწაულო სალუტის ზალპები.

სახალხო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა დიდ ქალაქში, პროვინციულ და სამაზრო ცენტრებში.

ჩინელი ახალგაზრდობა სასწავლად მიემგზავრება სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პეკინი, 15 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ 1.500-ზე მეტი ჩინელი მოსწავლე ცოდნის ასამაღლებლად მიემგზავრება საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მათი უმრავლესობა ისწავლის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და შეისწავლის ბუნებისმეტყველებას, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავისი ცოდნა მოახმაროს ჩინეთის აღდგენის საქმეს. ზოგიერთი ვანათლებას მიიღებს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში და მასწავლებელი გახდება.

1.300-ზე მეტი მოსწავლე საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. დანარჩენები ისწავლიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ალბანეთში, კორეასა და მონღოლეთში.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

სამი მინისტრის გადადგომა

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის რენე კოტის თავმჯდომარეობით გაიმართა, მეტად ძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სხდომაზე დამტკიცებულ იქნა მენდეს-ფრანსის წინადადებანი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხზე. მინისტრთა საბჭომ რწმუნება მისცა მენდეს-ფრანსს ბრიუსელის მომავალ თათბირზე დაიცვას საფრანგეთის წინადადებანი „ევროპის არმიის“ პროექტში ზოგიერთი დებულების ცვლილების შესახებ. სხდომაზე განიხილავდნენ აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკის საერთო საკითხებს.

ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა კენიგმა, რეკონსტრუქციის მინისტრმა ლენერმა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა შაბან-დელმასმა, რომლებიც „სოციალურ რესპუბლიკელთა“ (ყოფილი დეგოლელები) ჯგუფში შედიან, განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებებს, და დაუყოვნებლივ გადადგნენ.

მენდეს-ფრანსმა გადწყვიტა ამ პოსტებზე ახალი მინისტრები არ დანიშნოს „ევროპის არმიის“ შესახებ კამათის დამთავრებამდე. ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობას დროებით შეასრულებს ემანუელ ტამპლი, რეკონსტრუქციის მინისტრისას — კლოდიუს-პეტი და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრისას — ბურჟეს-მონური.

მაგრამ მენდეს-ფრანსის მთავრობაში დარჩა სამი დეგოლელი მინისტრი და სტატს-მდივანი: ფუშე, იულეერი და კატრუ. ისინი დღეს მიწვეულნი არიან „სოციალურ რესპუბლიკელთა“ საპარლამენტო ჯგუფის ბიუროს სხდომაზე თავიანთი პოზიციის განსამარტებლად.

პეკინს ჩავიდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია

პეკინი, 14 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სახალხო საზოგადოების მოწვევით დღეს პეკინს ჩამოვიდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია კ. ეტლის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საზოგადოების თავმჯდომარე ჯან სიპ-ეო, სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები გო მო-ეო და ჩენ შუ-ტუნი, პეკინის მერი პინ ჯენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ხან-ფუ, ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სახალხო საზოგადოების, კულტურის სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, უცხოთათან კულტურული ურთიერთობის ჩინეთის სახალხო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაციას შეხვდა აგრეთვე ინგლისის საქმეთა რწმუნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჰემფრი ტრეველიანი.

წყალდიდობა ინდოეთში

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იუწყება, მდინარეების გონდაკის, ბალანის, ბაიტის ადიდების შედეგად, ბიჰვარის, ბეგუსარაის, ბარიაპურის, ტეგბრასა და ბაკხრის (ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთი) რაიონები სერიოზულად დაზარალდა წყალდიდობისაგან. ბეგუსარაიში მოსპობილია 3.000 სახლი; უსახლკაროდ დარჩა 20.000 კაცი; 50 სოფელში განადგურებულია ნათესები.

სპორტის ამბები

მანანა ტოგონიძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში

ლენინგრადი, 14 აგვისტო. ა. ა. ჟდანოვის სახელობის პიონერთა სასახლეში გაიმართა უკანასკნელი წრე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოჭადრაკე გოგონების პირველი ჩემპიონატისა 1954 წლის პირველობისათვის.

როგორც წინა წრეებში, ისე ამ დღესაც ჩინებულად ითამაშა თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ მანანა ტოგონიძემ და დამსახურებულად მოიპოვა მოჭადრაკე გოგონებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სატიტო წოდება. 11 შესაძლებლიდან, პარტიების წაუგებლად, მ. ტოგონიძემ მოაგოროა 9 ქულა. ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკის მწვრთნელია ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე. გოგონას წარჩატებაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვის მის დედას ცნობილ პირველი თანრიგის მოჭადრაკეს ლ. გელოვანს. მ. ტოგონიძემ ჩემპიონის წოდებასთან ერთად პირველი თანრიგის მოჭადრაკის ხარისხიც მოიპოვა.

მეორე ადგილზე გამოვიდა კიშინიოველი მოსწავლე ნატალია კოლტი, მესამეზე — არხანგელსკელი ნატალია ტომოფეევა.

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონელი ფეხბურთელები

მოსკოვს ჩამოვიდა ვარშავის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც გამართავს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას საბჭოთა სპორტსმენებთან. პირველი შეხვედრა მოეწყობა 18 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. პოლონელი ფეხბურთელები შეხვდებიან მოსკოვის ნაკრებ გუნდს.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში

მოსკოვი. 15 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. თამაშობდნენ სასპორტო კლუბ „ასველის“ (ქ. ლიონი, საფრანგეთი) და მოსკოვის „ცდსა“-ს გუნდები. თამაში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების განარჯვებით ანგარიშით 83:49.

შეჯიბრებანი ფეხბურთში

სსრ კავშირის პირველობა

მიხაილ. ... ...